ცხადდება კონკურსი
თსუ-ს მაგისტრატურის საფეხურის პირველი და მეორე სემესტრის სტუდენტებისთვის
ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამისა და ორმხრივი თანამშრომლობის
სტიპენდიების მოსაპოვებლად

!! გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შესაძლოა, შეიცვალოს უნივერსიტეტების ჩამონათვალი, შესაბამისად, პერიოდულად შეამოწმეთ აღნიშნული განცხადება თსუ-ს ვებ-გვერდზე!

კონკურსზე განაცხადის გაკეთება შესაძლებელია მაქსიმუმ 3 უნივერსიტეტზე!

სტიპენდიების ჩამონათვალი ქვეყნების, უნივერსიტეტებისა და სასწავლო მიმართულებების მიხედვით:

ბულგარეთი

უნივერსიტეტი	**სოფიას წმიდა კლემენტ ოხრიდელის სახელობის უნივერსიტეტი**
მიმართულება	გეოგრაფია, ეთნოლოგია
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://uni-sofia.bg/index.php/index/index

გერმანია

უნივერსიტეტი	**აახენის რაინ-ვესტფალიის ტექნიკურ უნივერსიტეტში**
მიმართულება	მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ეკონომიკა
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.rwth-aachen.de/cms/root/Studium/Im-Studium/Internationales/Exchange-Incomings/Bewerbung/~iprm/Fachliche-Vorbereitung/?lidx=1

უნივერსიტეტი	**ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი**
ინგლისურენოვანი მიმართულება	პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები
გერმანულენოვანი მიმართულება	იურიდიული, ისტორია, პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, განათლების მეცნიერება, ფსიქოლოგია
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.fu-berlin.de/vv/en/fb

უნივერსიტეტი	**ვიურცბურგის უნივერსიტეტი**
მიმართულება	განათლების მეცნიერებები, მათემატიკა, ინფორმატიკა
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.hw.uni-wuerzburg.de/international/erasmus/incoming/

უნივერსიტეტი	**იუსტუს ლიბიგის სახელობის გისენის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ეკონომიკა, ბიზნესი, კულტურის მეცნიერებები, სოციოლოგია, პოლიტიკის მეცნიერებები
სწავლების ენა	ინგლისური/გერმანული
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uni-giessen.de/en/international-pages/ce/02 https://www.uni-giessen.de/en/international-pages/ce/03 https://www.uni-giessen.de/de/internationales/ce/08/08 https://www.uni-giessen.de/de/internationales/ce/09

უნივერსიტეტი	**კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი**
მიმართულება	ბიზნესის ადმინისტრირება
სწავლების ენა	გერმანული
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.fh-kiel.de/international/aus-dem-ausland/internationale-studierende/austauschstudierende-an-der-fh-kiel/

უნივერსიტეტი	**მარბურგის უნივერსიტეტი**
მიმართულება	სამართალი
სწავლების ენა	გერმანული
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uni-marburg.de/en/studying/studying-at-umr/exchange/erasmus

უნივერსიტეტი	**პოტსდამის უნივერსიტეტი**
ინგლისურენოვანი მიმართულება	მათემატიკა, ფიზიკა, ფსიქოლოგია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ბიოლოგია, გარემოს მეცნიერებები, ეკონომიკა
გერმანულენოვანი მიმართულება	სამართალი
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uni-potsdam.de/en/university-of-potsdam

უნივერსიტეტი	**ტრირის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სწავლების ენა	გერმანული
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uni-trier.de/en/international/coming-to-trier/exchange-students

ესპანეთი

უნივერსიტეტი	**კორუნას უნივერსიტეტი**
მიმართულება	ბიოლოგია, სამართალი, სოციალური მეცნიერებები
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.udc.es/en/ori/internacionalizacion/facultades/

უნივერსიტეტი	**ვიგოს უნივერსიტეტი**
მიმართულებები	ესპანური ფილოლოგია, ეკონომიკა, ბიზნესი
სწავლების ენა	ესპანური/ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uvigo.gal/en/study/what-study; https://www.uvigo.gal/internacional/programas-mobilidade/estudantes/estudantes-entrantes

თურქეთი

უნივერსიტეტი	**ჩუკუროვას უნივერსიტეტი**
მიმართულება	ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერებები
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.cu.edu.tr/

იტალია

უნივერსიტეტი	**უნივერსიტეტი რომა ტრე**
მიმართულება	სამართალი (ევროპისმცოდნეობის ჩათვლით)
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uniroma3.it/en/study/course-catalogue/

ლუქსემბურგი

უნივერსიტეტი	**ლუქსემბურგის უნივერსიტეტი**
მიმართულება	იურიდიული, სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა, ეკონომიკა, ბიზნესი, ფსიქოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერება
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uni.lu/en/
მნიშნელოვანი შენიშვნა!	!!ლუქსემბურგის უნივერსიტეტზე განაცხადის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი მოქმედი საერთაშორისო სერთიფიკატი; კერძოდ, მიიღება მხოლოდ: TOEFL (90 iBT), ან IELTS (მინიმალური საშუალო ქულა 7.0), ან CAMBRIDGE (FCE)-ის სერთიფიკატი;

ნორვეგია

უნივერსიტეტი	**ოსლოს უნივერსიტეტი**
მიმართულება	სკანდინავიური ფილოლოგია, სკანდინავისტიკა, ენათმეცნიერება
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uio.no/english/studies/admission/exchange/nomination.html

საფრანგეთი

უნივერსიტეტი	**კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტი**
მიმართულება	თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სტუდენტებისათვის ! **მინიმალური GPA 3.0**
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://economie.uca.fr/

უნივერსიტეტი	**ლილის უნივერსიტეტი**
მიმართულება	იურიდიული, პოლიტიკის მეცნიერებები, ფრანგული ფილოლოგია, ბიოლოგია, გეოლოგია
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://international.univ-lille.fr/

უნივერსიტეტი	**ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი**
მიმართულება	პოლიტიკის მეცნიერებები
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	http://www.univ-catholille.fr/

უნგრეთი

უნივერსიტეტი	**ეტვოშ ლორანდის სახელობის უნივერსიტეტი (ELTE)**
მიმართულება	ისტორია, არქეოლოგია
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.elte.hu/en/

ჩეხეთი

უნივერსიტეტი	**პალაცკის უნივერსიტეტი**
მიმართულება	სოციოლოგია, კულტურის კვლევები, ეთნოლოგია, დემოგრაფია, ანთროპოლოგია, გენდერის კვლევები, საზოგადოებრივი გეოგრაფია, განათლების მეცნიერებები, ფსიქოლოგია
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://international.upol.cz/en/exchange-programmes/im-an-exchange-student/news-general-information/#c69000

უნივერსიტეტი	**ოსტრავას უნივერსიტეტი**
მიმართულება	საზოგადოებრივი გეოგრაფია
სწავლების ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	www.osu.eu/22821/courses/

კონკურსზე დაშვების წინაპირობაა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

ა) მიმდინარე კონკურსის რეგისტრაციის დასრულებამდე არაუადრეს 6 კალენდარული წლით აღებული შემდეგი სერტიფიკატები:

1. *ინგლისური ენის შემთხვევაში:*
   - TOEFL (90 iBT), IELTS (6.5 მინიმალური საშუალო ქულა) ან CAMBRIDGE (FCE)-ის სერთიფიკატი;
   - B2 დონეზე ფლობის დამატასტურებელი სერთიფიკატი CERTUS (https://naec.ge/#/ge/post/1704)
2. *გერმანული ენის შემთხვევაში:* TestDaF (TDN 3), DSH (DSH 1), DSD (B2), Goethe Certificate (90-100);
3. *თურქული ენის შემთხვევაში:* TYS (B2)
4. *იტალიური ენის შემთხვევაში:* CILS (B2), PLIDA (B2);
5. *ესპანური ენის შემთხვევაში:* DELE (B2);
6. *ფრანგული ენის შემთხვევაში:* DELF (B2);

ბ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული უცხოური ენების ინსტიტუციური ტესტირების შედეგის საფუძველზე (არანაკლებ 71 ქულისა), რომლის შედეგიც ძალაშია ტესტირების ჩატარების სემესტრისა და მომდევნო 1 სემესტრის განმავლობაში, შესაბამისად, ამ კონკურსის მიზნებისთვის ვალიდურად ითვლება 2025 წლის 7 მარტის ან/და 2025 წლის 1 ოქტომბრის ტესტირების შედეგი;

გ) უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 1 სემესტრის განმავლობაში დასწრებულად სწავლის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე, სწავლების ენის მითითებით, სადაც სწავლების ენად გამოყენებული იყო იმ უნივერსიტეტში/პროგრამაზე მოქმედი სწავლების ენა, რაზეც განაცხადს აკეთებთ;

დ) თსუ-ში ისეთ უცხოენოვან პროგრამაზე სწავლა სადაც სწავლების ენად გამოყენებული იყო იმ უნივერსიტეტში/პროგრამაზე მოქმედი სწავლების ენა, რაზეც განაცხადს აკეთებთ;

ე) თსუ-ს სრულად უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები თავისუფლდებიან შესაბამისი (რომელი უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებიც არიან) უცხოური ენის ტესტირების ვალდებულებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი მასპინძელი უნივერსიტეტი ითხოვს შერჩეული სტიპენდიანტებისგან უცხო ენის ტესტირების დამადასტურებულ ცნობას.

<u>სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:</u>

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ან/და მიმღები უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. პირადობის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტის - პასპორტის (მისი არარსებობის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის) ასლი (სკანირებული **pdf** ვერსია);
2. **CV**-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv;
3. ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული **pdf** ვერსია);
4. მიმდინარე შეფასებების ამონაწერი აპლიკანტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო დისციპლინების მიხედვით, **GPA**-ის მითითებით (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული **pdf** ვერსია);
5. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირობები იხილეთ ზემოთ). **აპლიკანტებს, რომლებსაც თსუ ენის ინსტიტუციური ტესტის დადებითი შედეგი აქვთ, არ ესაჭიროებათ დოკუმენტის ატვირთვა;**
6. ბაკალავრის დიპლომის **pdf** ვერსია;
7. ბაკალავრის დიპლომის დანართი **GPA**-ის მითითებით ინგლისურ ენაზე;
8. *დამატებითი მხარდაჭერა ნაკლები შესაძლებლობების მქონე აპლიკანტებისთვის; (არსებობის შემთხვევაში, სკანირებული **pdf** ვერსია):*
   - *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სამედიცინო ცნობით;*
   - *სოციალურად დაუცველი პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით);*
   - *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით);*
   - *არასრულწლოვანი ბავშვის მშობელი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობით);*
   - *ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი;*
9. შევსებული სასწავლო ხელშეკრულება (სკანირებული **pdf** ვერსია). ხელშეკრულების შესავსებად გადადით სასურველი მიმღები უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. დოკუმენტის სწორად შესავსებად **კონსულტაცია გაიარეთ თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ, პუნქტი გ) და მხოლოდ ამის შემდეგ შეავსეთ დოკუმენტის პირველი გვერდი.** სრულყოფილად შევსების შემდეგ დოკუმენტი უნდა დაამოწმოთ თქვენი ხელმოწერით და **<u>ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით.</u>** <u>დანართი 1. (გაეცანით შესაბამის რეგულაციას</u>);
10. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე **mobility.tsu.ge** რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
11. სამოტივაციო წერილი არაუმეტეს 1 გვერდისა; ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - **Times New Roman**, ფონტის ზომა - **12**, **line spacing** – 1.0, ველები - 2სმ.; მოტივაციის წერილი უნდა დაიწეროს იმ პროგრამაზე მოქმედ სწავლების ენაზე, რაზეც განაცხადს აკეთებთ;

12. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა *(გთხოვთ, ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ* **pdf** *ვერსია*);

გაცვლით პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული სტუდენტები უნდა დარეგისტრირდნენ გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge, ატვირთონ სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (pdf ფორმატში) და გადმოგზავნონ განაცხადი ელექტრონულად არაუგვიანეს 2025 წლის 17 ოქტომბრის 16:59 საათისა.

- **გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.**
- **რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე**

ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში, **სტიპენდია მოიცავს:**

- მიმღებ უნივერსიტეტში რეგისტრაციის გადასახადისაგან გათავისუფლებას,
- ყოველთვიურ სტიპენდიას ევროკომისიის მიერ დადგენილი ნიხრით,
- ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას ევროკომისიის მიერ დადგენილი ნიხრით

შერჩეულმა სტიპენდიატებმა თავად უნდა აანაზღაურონ სავიზო მოსაკრებლისა და ყოველთვიური საერთაშორისო დაზღვევის ხარჯები!

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალი mobility.tsu.ge

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი **mobility.tsu.ge** არ არეგისტრირებს განაცხადებს ზემოთ მითითებული ვადის (17 ოქტომბრის 16:59სთ) გასვლის შემდეგ;
- პორტალი **mobility.tsu.ge** არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ **გაგზავნის** ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- გასაუბრებების დრო და თარიღი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [mobility.tsu.ge] მითითებულ მეილზე;

ბ) კონკურსის ორგანიზების საფუძველი და შერჩევის წესი

თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ https://www.tsu.ge/ka/foreign-relations/page/8837

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის” 49[2] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება. მობილობის პროგრამაში მონაწილე სტუდენტი მშობლიურ უნივერსიტეტში ირიცხება, როგორც აქტიური სტუდენტი და შესაბამისად, სტუდენტმა ყველა სემესტრში უნდა გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია! (tsu.ge)

გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალის mobility.tsu.ge გამოყენების სახელმძღვანელო https://tsu.ge/assets/media/files/42/Outbound Mobilities/UserGuide_mobility.tsu.ge_v1.pdf

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საკონტაქტო ინფორმაცია

იურიდიული ფაკულტეტი: ასოცირებული პროფესორი გიორგი მახარობლიშვილი giorgi.makharoblishvili@tsu.ge

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი marina.chavleishvili@tsu.ge
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: ასოცირებული პროფესორი დარეჯან გარდავაძე darejan.gardavadze@tsu.ge
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: პროფესორი თამარ დოლბაია tamar.dolbaia@tsu.ge
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: ასოცირებული პროფესორი tchelidze@tsu.ge

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, გაცვლით პროგრამაში გამარჯვებულმა ყველა სტუდენტმა (მობილობის განხორციელებამდე) უნდა გაიაროს სავალდებულო სასერთიფიკატო კურსი „ინტერკულტურული კომპეტენციები“.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე: outgoingmobility@tsu.ge